

**ტერმინ „ორთოგრაფიულისა“ და ლექსიკონთა  
კვალიფიკაცია-კლასიფიკაციის საკითხისათვის  
ქართულში**

მიუხედავად საყოველთაოდ დადგენილი და თითქოსდა, ერთი შეხედვით, ყველა ენისათვის უნივერსალური, საერთო სისტემებისა, თითოეულ ენას, საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, მასში კორექტივები შეაქვს. ამის საინტერესო მაგალითი ტერმინ **„ორთოგრაფიულისა“** და ზოგადად, **ორთოგრაფიული, ნორმატიული და განმარტებითი ლექსიკონების** სხვადასხვა ენებში განსხვავებული კვალიფიკაცია-კლასიფიკაციის საკითხია.

ერთი შეხედვით, **განმარტებითი** და **ორთოგრაფიული** ლექსიკონების აგების პრინციპები თითქოს ყველა ენაში ერთნაირი უნდა იყოს და ტერმინებიც ერთნაირად უნდა განიმარტებოდეს, მაგრამ ეს ასე არ არის. თითოეული ენის სისტემა, ისევე და ისევე თავისი განსხვავებული ბუნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ტერმინების (და ლექსიკონების) განსხვავებულ კლასიფიკაცია-კვალიფიკაციას იძლევა.

განმარტებითი ლექსიკონების სიტყვა-ფორმების მთავარ წყაროს ევროპულ ენებში სალიტერატურო ენის მასალა წარმოადგენდა და აქედან გამომდინარე, ის, გარკვეულწილად, ნორმატიული (იმ სახის ნორმატიული, რა სახის ნორმატიულის ფუნქციასაც ქართულში ორთოგრაფიული ლექსიკონი ასრულებს) ხასიათისა იყო. ამის კარგ მაგალითად **ფრანგული აკადემიის ცნობილი ლექსიკონის** მოყვანაც შეიძლება. გარკვეულწილად რუსულ რეალობაშიც იგივე ვითარება გვაქვს. შერბას აღნიშნული აქვს კიდევ, რომ **„განმარტებითი ლექსიკონები ჩვეულებისამებრ ამა თუ იმ ლიტერატურულ ენასთან მიმართებით მის ჩამოსაყალიბებლად ან მისი ნორმალიზაციის მიზნით იქმნება; ან კიდევ ამ ენის ამა თუ იმ ელემენტის განსამარტავად... საბოლოო ჯამში კვლავ და კვლავ სალიტერატურო ენის დასადგენად“** (შერბა „ლექსიკოგრაფიის ზოგადი თეორიის ცდა“). აქ,

როგორც ვხედავთ, განმარტებითობა საერთოდ მეორე პლანზეა გადასული...

**ეს თეორიულად. რა ვითარებაა პრაქტიკულად?** რუსული ენის განმარტებით ლექსიკონებში თავიდან უამრავი დიალექტური ფორმაც შედიოდა (ასეთია, მაგალითად, **დალის** ცნობილი ლექსიკონი). ეს პრინციპი მოგვიანებით რუსულ სამეცნიერო წრეებში დაწუნებულ იქნა.

**1895 წელს გამოსული ახალი აკადემიური ლექსიკონის** მთავარმა რედაქტორმა გამოცემაში ნორმატიულობის პრინციპი შემოიტანა, თუმცა მეორე ტომის ახალმა მთავარმა რედაქტორმა ეს პრინციპი უარყო.

**1935-1940 წლებში განმარტებითი ლექსიკონების** სიტყვა-ფორმების შერჩევისას ნორმატიულობას კვლავ ყურადღება მიექცა და აღნიშნული პრინციპი მკაფიოდ გატარდა **ოფეგოვის რედაქციით გამოსულ ლექსიკონში**. ხოლო **1972 წელს გამოსულ განმარტებით ლექსიკონში** აღნიშნულია, რომ „ის რუსული ლიტერატურული ენის ფართოდხმარებულ ლექსიკასა და ფრაზეოლოგიას მოიცავს“ და რომ – „ის ნორმატიულია“ [Розенталь, Теленкова 1976: 408].

სამაგიეროდ, ყველაზე პოპულარულ და გავრცელებულ, **1950-65 წლებში გამოცემულ „რუსული ენის განმარტებით ლექსიკონში“** დიალექტური (ასევე სასაუბრო და სხვა...) ფორმებიც შედის...

როგორც ვხედავთ, განმარტებითი ლექსიკონის აგების პრინციპები რუსულ ენაში ეპოქისა თუ შემდგენელ-რედაქტორების მიხედვით დიდ ცვლილებებს ექვემდებარება, რამაც გაუგებრობა და უკმაყოფილება მომხმარებელშიც წარმოშვა. მაგალითად, თანამედროვე რუსი ჟურნალისტები ჩივიან, რომ კანონის მიხედვით მათ სალიტერატურო ენით მეტყველება ევალებათ, მაგრამ არ არსებობს ლექსიკონი, რომელიც მათ ამ საქმეში ამომწურავად და სრულად დააკმაყოფილებს. მეტიც, ისიც კი სადავოა – საერთოდ, რომელია ნორმატიული ლექსიკონი?

ამის მიზეზი ისიცაა, რომ ქართულისაგან განსხვავებით, **ორთოგრაფიულის** სახელით ცნობილი ლექსიკონები რუსულში, როგორც წესი (და როგორც, პრინციპში, ეს სახელწოდებიდან ამოსვლითაც უნდა ივარაუდებოდეს), **მართლწერის** საქმეს ემსახურება; **ორთოგრაფიული** ლექსიკონის მთავარი დანიშნულება აქ უკვე დადგენილი წესების საფუძველზე **წარმოთქმისა და დაწერილობის ერთმა-**

**ნეთთან შესაბამისობაში მოყვანაა.** აქედან გამომდინარე, ამ ენების ორთოგრაფიულ ლექსიკონებში დიალექტური ფორმებიცაა შესული და მას ნორმატიულობის ამზიცია არა აქვს. ეს ყველაფერი აღნიშნული ტიპის ენებში წარმოთქმასა და დაწერილობას შორის დიდმა სხვაობამ გამოიწვია. თავად ცნება „**ორთოგრაფიის**“ წარმოშობაც ამ სხვაობამ და მისი მოწესრიგების საჭიროებამ განსაზღვრა. ესაა „ორთოგრაფიულის“, როგორც ტერმინის უპირველესი და ამოსავალი მნიშვნელობა (შდრ.: „ორთოგრაფია {ბერძ. orthos სწორი და grapho ვწერ} – ამა თუ იმ სალიტერატურო ენის სიტყვათა წერის წესების სათანადოდ დადგენილი სისტემა (ქართ. სინონ. მართლწერა)“ – ჭაბაშვილი 1989, 356). ასეცაა განმარტებული ეს ტერმინი ლინგვისტიკურ ლექსიკონებში, მაგალითად:

**1. ორთოგრაფია ანუ მართლწერა**

[Марузо 1960: 191];

**2. ორთოგრაფია** – ა) წესების სისტემა, რომელიც მეტყველების წერილობით გადატანის ერთიან წესებს აყალიბებს;

ბ) სიტყვის ფაქტიური დაწერილობა.

[Ахманова 1966: 294];

**3. ორთოგრაფია, მართლწერა** – წესების სისტემა:

ა) სიტყვისა და მნიშვნელობის მქონე მისი ნაწილების დაწერილობაზე;

ბ) სიტყვათა ერთად, დეფისით თუ ცალ-ცალკე დაწერის შესახებ;

გ) მთავარი და არამთავარი ასო-ბგერების ხმარების შესახებ;

დ) სიტყვათა გადატანის შესახებ.

[Розенталь, Теленкова 1976: 250].

ამ უკანასკნელ ავტორებთან ორთოგრაფიული ლექსიკონი ასეა განმარტებული [Розенталь, Теленкова 1976: 398]: **ორთოგრაფიული ლექსიკონი – ლექსიკონი, რომელიც სიტყვათა ნორმატიულ დაწერილობას მოიცავს.**

**ეს თეორიულად.**

**პრაქტიკულად – 1971 წელს გამოცემული „რუსული ენის ორ-  
თოგრაფიული ლექსიკონის“** შესავალში ასევე აღნიშნულია, რომ „**ის  
მხოლოდ ორთოგრაფიული ცნობარია და არა ლექსიკონი, რომელიც  
თანამედროვე სიტყვაწარმოების ნორმალიზაციას ახდენს** (რასაც ემ-  
სახურება განმარტებითი ლექსიკონი), ამიტომ მასში შესულია... ორ-  
თოგრაფიულ ნორმალიზაციას დასაქვემდებარებელი სიტყვები,  
კონკრეტულად: სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინები,  
ხალხური მეტყველების ნიმუშები და დიალექტური (ადგილობრი-  
ვი) სიტყვები, ზოგიერთი მოძველებული სიტყვა და ა. შ.“ (რუსული  
ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი 1971, 3-4).

რაც შეეხება წმინდა ნორმატიულ საკითხებს, ამ პრობლემის  
მოგვარების ცდა რუსულ ენაში სხვა სახელწოდების ლექსიკონებს  
ჰქონდათ. იმავე როზენტალსა და ტელენკოვასთან აღნიშნულია,  
რომ ლექსიკონების ტიპებს შორის არის, ასე ვთქვათ „**სისწორის“**  
(«словарь правильностей» – ასეა ორიგინალში) ლექსიკონი – მნიშვნე-  
ლოვანი წვლილი ამ ტიპის ლექსიკონებში აქვს ლექსიკონ-ცნობარს  
სახელწოდებით „**რუსული სალიტერატურო ენის სიტყვათხმარების  
სირთულეები და ნორმების ვარიანტები**“ [Розенталь, Теленкова  
1976: 403].

ამავე მიზანს ემსახურება ზალიზნიაკის „**რუსული ენის გრამა-  
ტიკული ლექსიკონი**“, „**სირთულეების ლექსიკონი**“ და სხვ.

როგორ წარიმართა ამ მხრივ საქმე ქართულ სინამდვილეში?  
„განმარტებითი ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში აღნიშნულია: „ახა-  
ლი სალიტერატურო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის  
*[როგორც ვხედავთ, სათაურშივე, თითქოსდა, ერთი შეხედვით, უკვე  
ყველაფერი გარკვეულია. ნ. ჯ.]* დანიშნულებაა, აღნუსხოს და გან-  
მარტოს ყველა სიტყვა, რაც კი არის დამკვიდრებული ამჟამად სი-  
ტყვაკაზმულ მწერლობაში, სამეცნიეროსა და პოლიტიკურ ლიტერა-  
ტურაში, პრესაში, – ერთი სიტყვით, წიგნის მეტყველებაში; სათანა-  
დოდ ვაჩვენოთ, თუ რა ლექსიკური მარაგი მოეპოვება ჩვენს ენას,  
ხელშესახები გახადოს, როგორ გამდიდრდა ქართული ენის ლექსიკა  
უახლეს პერიოდში და რა წყაროები გააჩნია მას შემდგომი ზრდა-  
განვითარებისათვის“ (გვ. 18).

იქვე აღნიშნულია, რომ „**წინამდებარე ლექსიკონი სალიტერა-  
ტურო ენის ლექსიკონია**, მასთან – ახალი სალიტერატურო ქართუ-  
ლისა“ (გვ. 19).

უფრო ქვემოთ კიდევ უფრო კატეგორიულად არის ნათქვამი, რომ „**ლექსიკონს ნორმატიული ხასიათი აქვს**“. ოღონდ რაში გამოიხატება ეს – „საჭიროების შემთხვევაში სიტყვას (მის დაწერილობას, აგებულებას, ხმარებულობას და, ხშირად, მნიშვნელობას) **დაფასება ეძლევა**“ (გვ. 19).

თუმცა, ცოტა ქვემოთ დამატებულია, რომ „**ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში შედის თანამედროვე სალიტერატურო ქართული მეტყველების სიტყვათა ძირითადი მარაგი**: ყველა სიტყვა, რაც კი არის **დამკვიდრებული** სიტყვაკაზმულ მწერლობაში, სამეცნიერო თუ პოლიტიკურ ლიტერატურაში, პრესაში, – ერთი სიტყვით, წიგნის მეტყველებაში, აგრეთვე **ისეთი კუთხური სიტყვები, რაც შეიძლება გამოადგეს სალიტერატურო ენას**, რაც სალიტერატურო ენის ლექსიკურ რეზერვს წარმოადგენს“ (*ხაზგასმა ჩვენი*) (გვ. 86).

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ ლექსიკონს ოფიციალურად „სალიტერატურო ქართული ენის“ განმარტებითი ლექსიკონი ეწოდება, **არსებითად ის მაინც საერთო-ქართული ენის ლექსიკონია** და ამიტომაც მასში შესულია (და ეს სათანადოდ აღნიშნულია კიდევ) **ქარგონიზმები, ზარბარიზმები, სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმები**; და რაც მთავარია – **დიალექტიზმები**. ამიტომ არსებითად მას **ნორმატიულობის** (და „სალიტერატუროსიც“ კი, გარკვეულწილად შეიძლება ასეც ითქვას) პრეტენზია ვერ ექნება. ამიტომაც, რომ ხშირად განმარტებითსა და ორთოგრაფიულ ლექსიკონში ერთი და იგივე სიტყვა-ფორმა სხვადასხვა ვარიანტითაა (სალიტერატურო ენაში გავრცელებული) წარმოდგენილი და ხშირად ერთმანეთს არც ემთხვევა. იგულისხმება, რომ ნორმატიულობის თვალსაზრისით მომხმარებელმა ორთოგრაფიულ ლექსიკონს უნდა მიმართოს<sup>1</sup>.

**რაც შეეხება საკუთრივ ორთოგრაფიულ ლექსიკონს ქართულ სინამდვილეში**. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ევროპულ ენებში

---

<sup>1</sup> თუმცა აქ ერთი ფაქტი უნდა აღინიშნოს – ორთოგრაფიული ლექსიკონი განმარტებითის შემდეგ გამოვიდა. მანამდე ნორმატიული ლექსიკონის ფუნქციას ქართულში განმარტებითი ლექსიკონი ასრულებდა – რამდენადაც თითოეული სიტყვას მიწერილი ჰქონდა – სალიტერატურო იყო ის, სასაუბრო, დიალექტური თუ სხვა...

ორთოგრაფიულ ლექსიკონებს უკვე დადგენილი წესების საფუძველზე ზეპირი მეტყველების დაწერილობასთან შესაბამისობაში მოყვანის ფუნქცია აკისრიათ. ქართულში ეს პრობლემა არ დგას. რასაკვირველია, ეს ყველაფერი კარგად იცოდნენ ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის შემდგენლებმა. ვნახოთ, რას წერენ ისინი შესავალში:

„ამა თუ იმ ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის დანიშნულებაა, აღნუსხოს და წარმოგვიდგინოს, თუ როგორაა მოგვარებული ამ ენაში ორთოგრაფიის, ანუ მართლწერის საკითხები, **ე. ო. საკითხები წარმოთქმისა და წერის ურთიერთობისა**“ (*ხაზგასმა აქც და შემდეგაც ჩვენია*).

შემდეგ მსჯელობა გრძელდება: „წარმოთქმულსა და დაწერილობას შორის განსხვავება ყველა ენაში არსებობს. ზოგ ენაში ეს განსხვავება ძალიან მკვეთრადაა გამოხატული, ზოგ ენაში კი – შედარებით ნაკლებად; და მაინც სხვაობა ხელშესახებია თუნდაც ისეთ ენაშიც კი, როგორიცაა ქართული: ცნობილია, რომ ქართულის ყოველ ცალკე ფონემას გადმოსაცემად ცალკე ნიშანი მოეპოვება და ყოველი ნიშანი მხოლოდ ერთი სახით წარმოითქმის“.

შემდგომ მსჯელობა უფრო ღრმავდება: „ამ ნიადაგზე ჩნდება **საკუთრივ ორთოგრაფიული საკითხები**. ასეთი საკითხების მოგვარება ქართულში რაიმე სირთულესთან არ არის დაკავშირებული და, ამდენად, მნელი არაა, მათი ხვედრითი წონაც სხვა საკითხთა შორის შედარებით მცირეა. გარდა ამისა, ქართულში არაა მოსაგვარებელი მახვილის საკითხი, რაც ზოგ ენაში, მაგალითად, რუსულში, განსაკუთრებით მწვავედ დგას. ქართულში მოგვარება სჭირდება **მორფოლოგიურ** (და აგრეთვე არაერთ სხვა რიგის) საკითხებს. ამგვარი საკითხების მოგვარების საჭიროება ჩნდება მაშინ, როცა ენაში ერთი და იგივე გრამატიკული კატეგორია შესაძლებელია ერთზე მეტი ფორმით გადმოიცეს და ამ ნიადაგზე სალიტერატურო ენაში ერთმანეთის მოცილე ფორმები იჩენს თავს“.

ამ მსჯელობის შედეგად მოცემულია ბრწყინვალე დასკვა: „ამიტომ, რომ წინამდებარე ლექსიკონი არაა ორთოგრაფიული ამ სიტყვის ჩვეულებრივი, ვიწრო მნიშვნელობით. იგი უფრო ფონეტიკურ და, განსაკუთრებით, მორფოლოგიურ (*ჩვენი მხრივ დავამატებდით – სინტაქსურისაც. ნ. ჯ.*) მოვლენათა შესამოწმებელია, ორთოგრაფიული ლექსიკონია ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით“ (გვ. 5).

როგორც ვხედავთ, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის შემდგენლებს (ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილს) ზუსტად აქვთ გათვითცნობიერებული ორთოგრაფიული ლექსიკონების ამოსავალი და ძირითადი (ანუ ვიწრო, როგორც თავად უწოდებენ) მნიშვნელობა ზოგადად და კერძოდაც – ევროპულ ენებში. რაც მნიშვნელოვანია, მათ ბრწყინვალე მეცნიერული ალღოთი მკვეთრად აქვთ გამიჯნული წმინდა ფონეტიკური მოვლენა (რაც ქართულშიც იჩენს თავს, მაგალითად, სიტყვის ბოლოს *დ-ს* დაყრუების შემთხვევები) ორთოგრაფიული მოვლენისგან და ზუსტად აქვთ განმარტებული ქართული ორთოგრაფიული ლექსიკონის არსი და დანიშნულება.

და მაინც – როდესაც შემდგენლებს ასე ზუსტად ესმოდათ ტერმინის არსი, ამ ტერმინის ქვეშ გაერთიანებული უცხოური ლექსიკონების დანიშნულება, რატომ უწოდეს მათ მიერ შედგენილ ლექსიკონს მაინც „**ორთოგრაფიული**“ და არა ვთქვათ „**ნორმატიული**“ ან თუნდაც **სირთულეების**, როგორც ეს უცხო ენებშია?

ჯერ ერთი, როგორ უკვე აღინიშნა, ევროპულ ენებში არ არსებობს მკვეთრად ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული „**ნორმატიული ლექსიკონები**“. **ფაქტობრივად არ არსებობს ტერმინი – „ნორმატიული ლექსიკონი“, როგორც ასეთი!**

მეორე – სამაგიეროდ არსებობს ტერმინი „**ორთოგრაფიული**“ (მაგალითად, რუსულში), რომლის მისადაგებაც ქართული ენის ნორმატიულ ლექსიკონთან სირთულეს და ტერმინის მნიშვნელობიდან დიდ გადახვევას არ წარმოადგენს (მით უმეტეს, რომ ბოლოს და ბოლოს წმინდა ორთოგრაფიული, მაგალითად **სიტყვის ცალკე დეფისით თუ ერთად დაწერილობის პრობლემა** ქართულშიც არსებობს და ეს საკითხი შესულიცაა აღნიშნული დასახელების ლექსიკონში).

ფაქტი კი ერთია: ის, რაც რუსულ საენათმეცნიერო რეალობაში დახვეწასა და მოგვარებას მოითხოვს (ზემოთ უკვე აღნიშნული განმარტებითი ლექსიკონის აგების განსხვავებული პრინციპები განსხვავებულ ავტორებთან; ნორმატიული ფორმა-შესიტყვებების შემცველი ლექსიკონების ან სრული სახით არარსებობა, ან საერთოდ შესაბამისი ლექსიკონის განსაზღვრა-მოძიების სირთულეები და სხვა) ქართულ რეალობაში დიდი ხანია დაზუსტებულია და – პრაქტიკაშიც იდეალურად გატარებული:

- „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (როგორც ძველ, ისე ახალ რედაქციაში) შესულია არა მხოლოდ სალიტერატურო ენის ფორმები, არამედ – დიალექტებისაც; დავსძენდით, რომ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **სალიტერატურო თუ სასაუბრო ენის ფორმებთან ერთად**, იდეალურ ვარიანტში ყველა დიალექტური ფორმაც უნდა იყოს შეტანილი (მოცულობის პრობლემა თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში ადვილად წყდება);

- რაც შეეხება **ორთოგრაფიულ ლექსიკონს**, ქართულში ის მტკიცედ ნორმირებული, სალიტერატურო ენის ლექსიკონია და, ბუნებრივია, მასში მხოლოდ სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი, სწორი ფორმებია შესული.

## ლიტერატურა

**ჭაბაშვილი 1989** – მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი.

**რუსული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი 1971** – რუსული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, მოსკოვი.

**ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი 1998** – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

**ქეგლი** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1950-1964; 2008-2010, თბილისი.

**Ахманова 1966** – А. Ахманова, словарь лингвистических терминов, Москва.

**Марузо 1969** – Ж. Марузо, словарь лингвистических терминов, Москва.

**Розенталь, Теленкова 1976** – Д. Розенталь, М. Теленкова, словарь-справочник лингвистических терминов, Москва.



Nino Jorbenadze

**Towards the Issue of the Term „orthographic“ and  
Qualification and Classification of Dictionaries**

S u m m a r y

Notwithstanding the well-established and at first glance, common, universal systems for all the languages, following from its own nature, each language makes corrections in it. From this standpoint, the noteworthy issues are the use of the term **orthographic** and in general, different qualifications-classifications of **orthographic**, **normative** and **explanatory** dictionaries in the different languages.

At first glance, the structure principles of the **explanatory** and **orthographic** dictionaries should be similar and the terms should be explained similarly. But it is not so. Again following from its distinct nature, each language system gives a different classification-qualification of these terms (and dictionaries).

In Russian and other languages an **explanatory dictionary** has function of **normativeness** along with **explanation**. The main purpose of an **orthographic dictionary** is to make **pronunciation** and **spelling compliance with each other based** on the set rules. Therefore, **orthographic dictionaries of these languages contain dialectal forms and have no ambition of normativeness**. All these are caused by the large variations between pronunciation and spelling in the languages of this type. Origin of the concept **orthography** was determined by the need of this difference and regulation.

Due to the absence of this problem, a different situation occurs in Georgian. **Many dialectal forms are included in the explanatory dictionary. As regard an orthographic dictionary has clearly defined normative character**. It is specially mentioned in the dictionary introduction, which specifies that it mostly includes phonetic and morphological (I would add the syntactic!) forms and word-combinations.